ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2398127

ნომერი: AR1369760

თარიღი : 11.01.2016

გაცემის თარიღი : 02.02.2016

გაცნობის თარიღი : 02.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ჭელიძე პ/ნ 01009001743
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 64 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წ. №2369629 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 11/01/2016 წ.

AR1369760 განაცხადით მომართა ვახტანგ ჭელიძემ, რომელმაც მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 30.12.2015 წ. №2369629 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30.12.2015 წ. №2369629 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №01.72.14.039.664), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, ოფისი, სავაჭრო) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 31.12.2015 წლიდან 31.03.2017 წლის ჩათვლით.

განმცხადებლების განმარტებით, დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ: შეთანხმებული პროექტის გეგმის -2.80 ნიშნულზე არასწორად იყო მითითებული ავტოსადგომის ფართი და არ იყო დაფიქსირებული კიბის უჯრედის ფართი, ასევე გეგმებზე არ იყო მითითებული ფართები (საცხოვრებელი, საზაფხულო, დამხმარე, კიბის ბლოკის). აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და 30.12.2015 წ. №2369629 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის გეგმები ჩანაცვლდეს 11/01/2016 წ. AR1369760 განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი გეგმა–ნახაზები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წ. №2369629 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 11/01/2016 წ. AR1369760 განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წ. №2369629 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.